საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეთუთეობა

მეთუთეობა, მემცენარეობის დარგი, რ-იც მოიცავს თუთის ხის მოვლა-გაშენებისა და სარგავი მასალის (თესლნერგი, ნერგი) წარმოებას. მ. გავრცელებულია ცენტრალურ აზიაში, სამხრეთ ევროპაში, ამერიკაში, სამხრეთ კავკასიაში, მოლდოვაში, რუსეთში, უკრაინაში. თუთის ხის ერთ-ერთ სამშობლოდ საქართველოც ითვლება. არქეოლ. განათხრებში თუთის ფოთლის ნარჩენებისა და ანაბეჭდების არსებობით დასტურდება, რომ თუთის ხე საქართვ. აღმ. ნაწილში გავრცელებული იყო მეოთხეული პერიოდის დასაწყისში. მ. დამოუკიდებელ მეცნიერებად XX ს. 30-იან წლებში ჩამოყალიბდა. მ-ის დარგში საყოველთაოდაა აღიარებული მკვლევრების - ა. ფიოდოროვის, ი. აბდულაევის, კ. რაჰმანბერდიევის, მ. შაბლოვსკაიას, ა. კაფიანის, გ. ჯაფარიძის და სხვათა ნაშრომები.

თუთის ხეს ამრავლებენ თესლითა და ვეგეტატიურად. 1 *ჰა*-ზე ითესება 10-20 *კგ* თესლი. სარწყავ პირობებში სანერგეში 1 *ჰა*-ზე 600-800 ათ. თესლნერგს და 32-35 ათ. ნერგს ღებულობენ. ფოთლის მოსავალი 1 *ჰა* თუთის ბუჩქოვანი პლანტაციიდან არის 9-10 *ტ*, ხოლო შტამბიანი ზრდასრული 1 მცენარიდან - 10-15 *კგ*. მ. კულტურული მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუში, მოსახლეობის მასიური დასაქმების საშუალება და ფულადი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. აბრეშუმის პარკი, გრენა, ქსოვილი და სხვა ნაწარმი უნიკალური საექსპორტო პროდუქციაა. ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს თუთის არსებული ნარგაობის გაახალგაზრდავება, მ-ის ბაზაზე სასელექციო სადგურის აღდგენა, მეაბრეშუმეობის განვითარებისთვის საკვები ბაზის გაფართოება, დაბალშტამბიანი თუთის როგორც ბაღების, ისე ერთეული ნარგაობის გაშენება. ამ ღონისძიებების ჩატარება უზრუნველყოფს რეგიონებში ეკონომიკის სწრაფ განვითარებას.

გ. ზვიადაძე

ლ. გოგინავა